ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დანართი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: "კერძო სკოლა ინტელექტი"

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:

- [x] დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- [x] საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- [x] საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;

- [ ] პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: ნინო ბალანჩივძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: მანანა თურქაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

II. დაწესებულების მისია

სკოლის მისიაა მოსწავლეს მისცეს ზოგადი განათლება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის საფუძველზე. აღზარდოს ღირსეულ ადამიანად და მოამზადოს ცხოვრებაში წარმატებული ადგილის დასამკვირდებლად. ასევე, განუვითაროს ანალიტიკური აზროვნება, ჩამოუყალიბოს ისეთი უნარ-ჩვევები, როგორებიცაა: ტოლერანტობა, კანონმორჩილება, ვალდებულების მაღალი შეგნება და პატრიოტიზმი, დაეხმაროს მას სწორი არჩევანის გაკეთებაში.

სკოლა იზრუნებს სწავლების ყველა საფეხურზე მოსწავლეს შეუქმნას უსაფრთხო გარემო და სწავლისათვის საჭირო ყველა თანამედროვე პირობა. ასევე, სკოლა იზრუნებს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და მათი საქმიანობის ხელშეწყობაზე.

III. სტანდარტები

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

შეფასება:

"კერძო სკოლა ინტელექტი" წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო კერძო სასწავლო დაწესებულებას, რომლის მიზანია მოსწავლეს მისცეს ზოგადი განათლება, ამასთანავე, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის საფუძველზე აღზარდოს ღირსეულ ადამიანად და მოამზადოს ცხოვრებაში წარმატებული ადგილის დასამკვირდებლად.

მისიიდან გამომდინარე, სკოლამ განსაზღვრა და შეიმუშავა შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები:

- სკოლის საკონონმდებლო ბაზის შექმნა;
- პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- მოსწავლეებში სწავლება/სწავლის ხარისხის ამაღლება;
- მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენება და გაუმჯობესება;
- პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- სასწავლო პროცესის მართვა;
- მოსწავლეებში სწავლება/სწავლის ხარისხის ამაღლება;
- სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- უსაფრთხო და ორგანიზებული გარემო;
- მშობეთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში.

სასკოლო სასწავლო გეგმა არის ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე შემუშავებული, რომელიც აზუსტებს სკოლისთვის ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ აუცილებელ დატვირთვას, განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას.

სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებია:

- სკოლის მისია;
- სკოლის მიზნები და ამოცანები საფეხურების მიხედვით;
- სასწავლო კალენდარი;
- სასკოლო საათობრივი ბადე;
- სასწავლო მასალის ჩამონათვალი საფეხურებისა და საგნების შესაბამისად, მათ შორის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით;
- საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები;
- მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა);
- ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის, ასეთის საჭიროების შემთხვევაში;
- ინკლუზიური განათლება;
- ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა;

სკოლის მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, 2017-2018 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ/გაუთვალისწინებელი დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებებს კერძოდ, ***ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებებს უფასო წრის სახით:***

- გახანგრძლივებული იფუნქციონირებს I-IV კლასებში. გაკვეთილების შემდეგ, გახანგრძლივებული სწავლების მასწავლებელი მოსწავლეებს ჩაუტარებს დამატებით მეცადინეობებს 18:00 საათამდე, მოამზადებინებს გაკვეთილებს.

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებებს უფასო წრის სახით:

- ჭადრაკის წრე - I-IV კლასებში;
- კარატეს წრე - I-IV კლასებში;
- სპორტული ცეკვების წრე - I-IV კლასებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

I-IV კლასის მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ თავიანთი სურვილისამებრ აირჩიონ მინიმუმ ერთ-ერთი წრე.

გარდა ამისა სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს შემდეგ კლუბებს:

- ლიტერატურული სალონი;
- მოაზროვნეთა (რა, სად, როდის“) კლუბი;
- ჭადრაკის კლუბი;
- ახალგაზრდა გამომგონებელთა კლუბი;
- გამოყენებითი ხელოვნების კლუბი;
- სამოქალაქო განათლების კლუბი.

V - XII კლასის მოსწავლეები ვალდებული არიან თავიანთი ინტერესების შესაბამისად მინიმუმ ერთ კლუბში გაწევრიანდნენ.

სკოლას შემუშავებული აქვს დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა, რომელიც ემყარება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და გამომდნარეობს სკოლის მიისიიდან. სადამრიგებლო პროგრამითა და კლასის დამრიგებელთა პორტფოლიოთი ნათლად ჩანს კლასის დამრიგებლის სააღმზრდელო მუშაობა, რომელიც განსაზღვრულია შემდეგი მიმართულებებით:

1. **პიროვნული და მორალური განვითარება** ;
2. **გარემოსდაცვითი კულტურის განვითარება ;**
3. **ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია** ;
4. **უსაფრთხოება და მოქალაქეობრივ - პატრიოტული ცნობიერება**;
5. **თვალსაწიერის გაფართოება;**
6. **მეწარმეობის უნარის განვითარება.**

დამრიგებლის პორტფოლიო წარმოდგენილია დამრიგებლის სამუშაო დოკუმენტებითა და მის მიერ ჩასატარებული საქმიანობის ამსახველი მასალებით.

სადამრიგებლო პროგრამის შესაბამისად სადამრიგებლო საათის თემატიკაში გათვალისწინებულია ის საკითხები, რომლებიც ხელს უწყობს სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას, კანონმორჩილი მოქალაქის აღზრდას, ზნეობრივად, ინტელექტუალურად და ფიზიკურად ჯანსაღი და ეროვნული ღირებულებების მქონე ადამიანის აღზრდას, რაც შესაბამისობაშია სკოლის მისიასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში **<u>არის რიგი საკითხები, რომლებიც სკოლის მიერ უნდა ყოფილიყო განსაზღვრული, მაგრამ სასკოლო სასწავლო გეგმაში უცვლელად არის გადმოტანილი ეროვნული სასწავლო გეგმიდან.</u>** მაგალითად, დაწესებულების მიერ დამტკიცებულ სასკოლო სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ: <u>გვ.:8 :</u> **„დამრიგებელი მოსწავლის მრჩევლად მოიაზრება. მისი მუშაობა უნდა ემყარებოდეს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ხელს უწყობდეს მოსწავლეებში გონებრივი და ფიზიკური უნარების განვითარებას, მათ ჩაბმას სხვადასხვა კლუბსა თუ წრეში; ასევე, უნდა უწყობდეს ხელს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, უნდა უვითარებდეს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებასა და ეხმარებოდეს მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

გაცნობიერებაში“, იქვე ვკითხულობთ: **„დამრიგებელი მშობლებს შვილის აკადემიური მოსწრების და ყოფაქცევის საკითხებს ინდივიდუალური შეხვედრების დროს უნდა აცნობდეს.** გვ.: 15: **”ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით, სკოლას შეუძლია, საკუთარი სურვილისა და შესაძლებლობების ფარგლებში, შესთავაზოს მოსწავლეებს დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება; გვ.43: „სკოლა ვალდებულია შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანოს ის მოსწავლეები, რომლებსაც სჭირდებათ მკურნალობა ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი ხდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე; გვ.44: „წლიური გამოცდა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ საბაზო და/ან საშუალო საფეხურზე. თუ სკოლას სურს საგნის წლიური გამოცდის დანიშვნა, მან სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა განსაზღვროს, რომელ კლასში/კლასებში და რომელ საგანში/საგნებში ჩაატარებს ამ გამოცდას და ექნება თუ არა ამ გამოცდაზე მიღებულ ქულას გავლენა საგნის წლიურ ქულაზე“;** აქვე ვკითხულობთ: **„თუ სკოლა ჩაატარებს წლიურ გამოცდას, იგი ვალდებულია გამოცდაზე შინაარსიანი, კონტექსტუალიზებული, კომპლექსური დავალებები შესთავაზოს მოსწავლეებს (მაგალითად: თხზულება, მოხსენება, რეფერატი, პროექტი, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში და სხვ.).გვ.49: „სკოლის კიბეებზე დამაგრდება მოძრავი პანდუსი, რისი საშუალებითაც ისინი მარტივად გადაადგილდებიან და დაამყარებენ ურთიერთობას თანატოლებთან“ .** როცა შეიძლებოდა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულიყო, რას ემყარება დამრიგებლის მუშაობა, როგორ აცნობს დამრიგებელი მშობელს შვილის აკადემიურ მოსწრებას, ან უშუალოდ რას და როგორ სთავაზობს **მოსწავლეებს დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას (მით უმეტეს, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება),** ამასთანავე, სჯობდა სკოლას თავიდანვე განესაზღვრა, რომ **„ქართული ენისა და ლიტერატურის წლიურ გამოცდაზე მოსწავლეებს წარმოსადგენი ექნებათ რეფერატი ან პროექტი, ან პრეზენტაცია და ა.შ, ხოლო მათემატიკის წლიურ გამოცდაზე მოსწავლეებს მოუწევდათ** კომპლექსური დავალებების (მაგალითად:ამოცანის ამოხსნა, დიაგრამის შედგენა და სხვ.),ან ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სხვა რომელიმე დავალების შესრულება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, ერთი მხრივ, სასკოლო სასწავლო გეგმაში წერია, რომ „ **„საჭიროებისამებრ სკოლის კიბეებზე დამაგრდება მოძრავი პანდუსი“,** ხოლო მეორე მხრივ სკოლას შეძენილი აქვს უნიკალური მოწყობილობა **„კიბეებზე გადასაადგილებელი მუხლუხო” და ა. შ.**

სკოლამ აღნიშნული უზუსტობები და ტექნიკური ხარვეზები ექსპერტთა ვიზიტის დროს აღმოფხვრა და წარმოადგინა **სკოლის დირექტორის ბრძანება სასკოლო სასწავო გეგმაში ცვლილებების განხორციელების შესახებ, პედსაბჭოს ოქმი და სასკოლო სასწავლო გეგმა ელექტრონული ფორმით** (დანართი N 1 დირექტორის ბრძანება, პედსაბჭოს ოქმი და სასკოლო ასწავლო გეგმის ელექტრონული ფორმა).

სხვადასხვა შემეცნებითი თუ აღმზრდელობითი საქმიანობა უზრუნველყოფს სკოლაში დროისა და ყურადღების მობილიზებას, კლასში თავისუფალი შემოქმედებითი გარემოს შექმნასა და სრულყოფილი პიროვნების ჩამოყალიბებას, თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური მიდრეკილების, ფიზიკური, ფსიქიკური შესაძლებლობებისა და ასაკთან შესაფერისი ინტერესების გამოვლენას, რომელიც სამომავლოდ დაეხმარება მათ თვითდამკვიდრებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დაწესებულების სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებების შესწავლამ აჩვენა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების სასწავლო პროგრამებით
- **დირექტორის ბრძანებით, პედსაბჭოს ოქმითა და სასკოლო ასწავლო გეგმის ელექტრონული ფორმით (დანართი N 1)**
- ინტერვიუებით;
- სკოლის ვებგვერდით: https://www.intelecti2017.ge/

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები

შეფასება:

სასკოლო საასწავლო გეგმის მიხედვით სკოლაში ფუნქციონირებს 5 საგნობრივი კათედრა:

- ქართული ენისა და ლიტერატურის და უცხოური ენების კათედრა;
- ისტორია და საზოგადოებრივი მეცნიერებათა კათედრა;
- ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა;
- სპორტის და ესთეტიკური აღზრდის კათედრა;
- დაწყებითი კლასების კათედრა.

კათედრები აერთიანებს საგნობრივ ჯგუფებში ყველა მასწავლებელს. სკოლას შემუშავებული აქვს კათედრის დებულება. თითოეულ კათედრას აქვს გაწერილი სამოქმედო გეგმები, ყველა პედაგოგს შემუშავებული აქვს შესაბამისი კლასის სასწავლო საგნობრივი პროგრამა და თემატური გეგმები, რომლებიც თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სტანდარტებთან. პედაგოგების მიერ შემუშავებულ საგნობრივ სასწავლო პროგრამებში გაწერილია საგნის/საფეხურის მიზნები, სასწავლო კურსის შინაარსი - საათობრივი განაწილებით, შეფასება, გამოსაყენებული ლიტერატურისა და დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალი და ა.შ. სასწავლო პროცესში გამოყენებულია როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ისე დამხმარე არაგრიფირებული სახელმძღვანელოები.

სასწავლო კვირა არის ხუთდღიანი, საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია 6 დღიანი სწავლებაც. გაკვეთილებს შორის ხანგრძლივობა არის I კლასის მოსწავლეებისთვის – 35 წუთი, ხოლო დანარჩენი კლასებისთვის - 45 წუთი. შესვენება 5 წუთიანია, დიდი დასვენება კი 15 წუთიანია. აღნიშნული დრო განსაზღვრულია მოსწვლეთა კვებისათის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

მ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში საათობრივ ბადეს ახლავს ზოგადი განმარტებები, ეროვნული სასწავლო გეგმით როგორც გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა, ისე დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება, რაც სკოლის თავისებურებას უსვამს ხაზს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით სპორტის სახეობებიდან სკოლას განსაზღვრული აქვს სპორტის სამი სახეობა:

- ფესბურთი;
- კალათბურთი;
- ფრენბურთი

ექსპერტებმა სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან ვისაუბრეთ სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვის სხვადასხვა მექანიზმზე, გაკვეთილების სწორად დაგეგმვის სხვადასხვა სტრატეგიასა და შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმებზე.

2017-2018 სასწავლო წლიდან სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით კათედრები ყურადღება გაამახვილებენ საგნობრივი სტანდარტების ინდიკატორების ამოქმედების მექანიზმებზე განსაზკუტრებით შემაჯამებელი დავალებების განსაზღვრის დროს.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ განსაზღვრა 2017-2018 სასწავლო წელს წლიური გამოცდის ჩატარდების ფორმატი. კერძოდ: **„ქართული ენისა და ლიტერატურის წლიურ გამოცდაზე (VII-X კლასებში) მოსწავლეებს წარმოსადგენი ექნებათ რეფერატი, ხოლო მათემატიკის წლიურ გამოცდაზე (VII-X კლასებში) მოსწავლეებს მოუწევთ კომპლექსური დავალებების (მაგალითად:ამოცანის ამოხსნა, დიაგრამის შედგენა და სხვ.) შესრულება“.**

სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს. სასწავლო წლის განმავლობაში განსაღვრულია სხვადასხვა ტიპის კლასგარეშე და სკოლისგარეშე სპორტული თუ შემცნებითი ღონისძიებებში, რაც საშუალებას მისცემ მოსწავლეებს, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.

დასტურდება:

- 2017/2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმია პროექტით;
- კათედრის მუშაობის ამსახველი დოკუმენტაციით;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმებით;
- კლასის დამრიგებელთა პორტფოლიოებით;
- ინტერვიუებით.

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შეფასება:

სასკოლო სასწავლო გეგმის ერთ–ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ინკლუზიური განათლება. დაწესებულებამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების შესახებ ამონარიდი ეროვნული სასწავლო გეგმიდან: კერძოდ, უნდა აღინიშნოს, რომ არის რიგი საკითხები, რომლებიც სკოლის მიერ უნდა ყოფილიყო განსაზღვრული, მაგრამ სასკოლო სასწავლო გეგმაში უცვლელად არის გადმოტანილი ეროვნული სასწავლო გეგმიდან. მაგალითად, დაწესებულების მიერ დამტკიცებულ სასკოლო სასწავლო გეგმაში **(გვ 46-48)** ვკითხულობთ: **„ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებეს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი დაკმაყოფილების გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რომელიც აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად...ან ან „შინ სწავლების მეთოდით გათვალისწინებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული ეროვნულ სასწავლო გეგმასთან... იქვე საუბარია, რომ „თითოეული სსსმ მოსწავლისათვის სკოლამ უნდა განსაზღვროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფი... ისგ ჯგუფს უნდა ჰყავდეს კოორდინატორი და ა. შ.** როცა შეიძლებოდა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულიყო როგორც კოორდინატორი და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფი, ისე ინდივიდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მექანიზმები, რაც გაითვალისწინებდა სასწავლო პროცესთან დაკავშირებით სკოლის წინაშე არსებული ამოცანების შესრულებას: მაგ.: როგორ დაკომპლექტდებოდა და იმოქმედებდა სამუშაო ჯგუფი საჭიროების შემთხვევაში. რა ვადებში მოხდებოდა მოსწავლის საჭიროებების შეფასება და მოდიფიცირებული სასწავლო გეგმის შედგენა. ამასთანავე, ყურადღება გამახვილდებოდა საჭიროების შემთხვევაში მოსწავლის შინ სწავლების მექანიზმებზეც და (მასწავლებლის ვიზიტი ოჯახში) მასწავლებლის დატვირთვაზე სსსმ მოსწავლის სახლში სწავლების შემთხვევაში.

ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში განისაზღვრა და გაიწერა, როგორ უნდა დაკომპლექტდება და იმოქმედეს მულტიდისციპლინური ჯგუფი საჭიროების შემთხვევაში, რა ვადებში მოხდება მოსწავლის საჭიროებების შეფასება და მოდიფიცირებული სასწავლო გეგმის შედგენა. ასევე, სკოლა საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავებს მოსწავლის შინ სწავლების მექანიზმებსაც. (მასწავლებლის ვიზიტი ოჯახში).

მართალია, ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, მაგრამ ინტერვიურებით, გაირკვა, რომ სკოლის საზოგადოებას აქვს მზაობა ადამიანური და ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით ასეთი მოსწავლის არსებობის შემთხვევაში გაუწიოს მას სათანადო საგანმანათლებლო მომსახურება:

- სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი;
- განსაზღვრულია ერთი სველი წერტილი სსსმ მოსსწავლისათვის;
- შეძენილია უნიკალური მოწყობილება **„კიბეებზე გადასაადგილებელი მუხლუხო;**
- **შემუშავებულია** ინდივიდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების **მექანიზმები .**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 8 ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

•

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- **დირექტორის ბრძანებით, პედსაბჭოს ოქმითა და სასკოლო ასწავლო გეგმის ელექტრონული ფორმით (დანართი N 1)**
- ინტერვიუებით;
- ვიზუალური დათვალიერებით

1.4. სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

შეფასება:

სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების სისტემა. ამასთანავე, ქულების გამოანგარიშების წესი, სემესტრული/წლიური შეფასების პრინციპები. შემუშავებულია შეფასების სქემები, რუბრიკები საგნების მიხედვით, რომლებიც გამოკრულია საკლასო ოთახებში.

განსაზღვრულია და დადგენილი სასწავლო წლის/საფეხურის დაძლევის მინიმალური ბარიერი და შემუშავებულია ამ ბარიერის დაუძლევლობის შემთხვევაში როგორც მოსწავლისათვის დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, ისე მშობლებთან მოსწავლის აკადემიური მოსწრების ინფორმირების წესები.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმები ზოგადი ხასიათისაა. ინტერვიუების დროს სკოლის ადმინისტრაციამ განაცხადა: შეფასების კრიტერიუმებმა რომ უზრუნველყოს რელევანტურობა და ვალიდურობა, გაკვეთილების დაგეგმვის დროს კათედრის წევრები ერთობლივად შეიმუშავებენ კრიტერიუმებს უშუალოდ მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით..

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- შეფასების სქემებითა და რუბრიკებით
- ინტერვიურებით.

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დაწესებულებას შემუშავებული აქვს მოსწაველთა აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი(„მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის შესახებ დებულებით"), რომელიც ითვალისწინებს სასკოლო ცხოვრებაში მშობლის აქტიურ ჩართულობას.

მშობელს ინდივიდუალურად შეუძლია მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია როგორც სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, ისე თავისი შვილის დისციპლინის, პიროვნული წარმატებებისა თუ პრობლემების შესახებ ან ინდივიდუალური შეხვედრებით, ან საერთო კრებებითა და მოსწავლის დღიურებით.

გარდა ამისა, სკოლაში ჩატარდება სხვადასხვა ღონისძიება, რაც უზრუნველყოფს მშობელთა აქტიურ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- სკოლის ელექტრონული ფოსტა intelecti2017@gmail.com
- სკოლის ვებ-გვერდით www.intelecti2017ge;
- სოციალური ქსელი www.facebook.com/profile.php?id=100015681281794&fref=ts
- ვიზუალური დათვალიერებით;

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

შეფასება

დაწესებულებაში, სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, განსაზღვრულია მონიტორინგის სისტემა,რომელიც სასწავლო პროცესის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების დაგეგმვის შესაძლებლობას იძლევა.

სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგიური კოლექტივი სისტემატურად იზრუნებს სასწავლო პროცესის განვითარებასა და მის სრულყოფაზე სხვადასხვა აქტივობით. კერძოდ, შემაჯამებელი დავალებების ჩატარება/ანგარიშების მომზადება, სხვადასხვა სახის ღონისძიებაში მონაწილეობა/ ანგარიშების მომზადება, გაკვეთილებზე დასწრება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და კათედრის ხელმძღვანელთა მიერ წარმოდგენილი მუშაობის ანგარიში და მათი ანალიზი..
კითხვარების მომზადება როგორც მასწავლებლებისათვის, ისე მოსწავლეთა და მშობელთათვის.

მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე კი დაწესებულების ადმინისტრაცია შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რაც პედაგოგთა პროფესიული სრულყოფის საწინდარი იქნება.

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმების დოკუმენტით;
- კიტხვარებით;
- ინტერვიუებით.

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი.

შეფასება:

შპს "კერძო სკოლა ინტელექტის" საკუთრებაში არსებულია თბილისის მირიან მეფის ქ. N68-ში მდებარე შემდეგი უძრავი ქონება - საერთო ფართით - 1860 კვ.მ (ს/კ:01.10.08.006.185) და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა საერთო ფართით 2451,2 კვ.მ

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1.	თბილისი, მირიან მეფის ქ. N68-ში	1860 კვ.მ

დასტურდება:

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი N52.08.35.312);
- უზურფრუქტის ხელშეკრულებით;
- შიდა აზომვითი ნახაზით;

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

შეფასება:

შენობა ახალგარემონტებულია. სამივე სართულზე განსაზღვრულია **26 საკლასო** ოთახი, რომელთაგან მხოლოდ **13 ოთახია** აღჭურვილია 228 ცალი ინდივიდუალური მერხითა და შესაბამისი სკამით (სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ №572 ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში), სასკოლო დაფებით, საგანმანათლებლო რესურსებით, რაც მოიცავს სხვადასხვა საგნის სწავლებისათვის აუცილებელ თვალსაჩინოებას, პლაკატებს, რუკებს, ცხრილებსა და სხვას.

ამასთანავე, სკოლაში არის ექთნის ოთახი, სააქტო, სპორტისა და ცეკვის დარბაზები, სასადილო ოთახი სველი წერტილებით, სამასწავლებლო, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, კომპიუტერული კაბინეტი და ბიბლიოთეკა.

სკოლაში ასევე გამოიყენება ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი. ამისათვის სკოლას აქვს 14 კომპიუტერი, ერთი პროექტორი, პრინტერები, ასლგადამღებები.

დასტურდება:

- სასაქონლო ზედნადებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

შეფასება:

დაწესებულებას ეზოში აქვს ერთი ღია ტიპის მოედანი, რომელიც სასწავლო წლის დაწყებისათვის აღჭურვილი იქნება შესაბამისი სპორტული ინვენტარით, კერძოდ, ფრენბურთის ბადით, სხვადასხვა ზომის კალათბურთის ფარებითა და ფეხბურთის კარებით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შენობის მე-3 და ნულ სართულებზე სპორტის გაკვეთილებისათვის განსაზღვრულია ორი სპორტული დარბაზი (მცირე და დიდი), სადაც, ერთი მხრივ, მხიარული სტარტები და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები მოეწყობა, ხოლო, მეორე მხრივ, ჩატარდება სკოლის მიერ შერჩეული სპორტის შემდეგი სახეობები:

- ფეხბურთი;
- ფრენბურთი;
- კალათბურთი

სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სპორტული სახეობებისთვის შესაბამისი ინვენტარი: ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის ბურთები, ფრენბურთის ბადე და სხვადასხვა სპორტული ღონისძიებისათვის განსაზღვრული ინვენტარი.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ხელშეკრულებებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- სასაქონლო ზედნადებებით.

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

შეფასება:

სკოლის შენობაში ნულ სართულზე მოწყობილია სათანადოდ აღჭურვილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესწავლისათვის განსაზღვრული კაბინეტი - ფიზიკისა და ქიმია-ბიოლოგიის გაკვეთილების ჩასატარებლად.

სკოლას აქვს ლაბორატორიული აღჭურვილობის სრული კომპლექტი და შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს №572 ბრძანებით დამტკიცებულ სარეკომენდაციო ჩამონათვალს.

ლაბორატორიაში დაცულია უსაფრთხოების ნორმები, არის სველი წერტილი და უახლოეს მომავალში იგეგმება გამწოვის დამონტაჟებაც.

დასტურდება:

- ხელშეკრულებით;
- სასაქონლო ზედნადებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

შეფასება:

სკოლაში ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება, სასწავლო შენობაში ყველა სართულზე კეთილმოწყობილია სველი წერტილები, რომელთა საერთო რაოდენობა (როგორც გოგონებისათვის, ისე ვაჟებისათვის) 17-ს შეადგენს. მათ შორის 1- სსსმ მოსწავლისათვის და 3 - პედაგოგებისათვის.

სკოლაში არის უწყვეტი ელექტროენერგია. ამასთანავე, სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ხელშეკრულებით ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- გადახდის ქვითრებით;

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

შეფასება:

სკოლას აქვს ბიბლიოთეკა 665 ერთეული წიგნით. აქედან ბიბლიოთეკაში არის I-XII კლასისა და საგნის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და კლასების მიხედვით განლაგებულია თაროებზე.

ბიბლიოთეკაში, წიგნებისა და სხვა ბეჭდური გამოცემების მონაცემები, გარდა 60 ერთეულისა, აღრიცხულია საბიბლიოთეკო წესით, აღწერილია ელექტრონულ კატალოგში (ბაზაში) და ხელმისაწვდომია როგორც მასწავლებელთა და მოსწავლეებელთათვის, ისე ბიბლიოთეკის ნებისმიერი მკითხველისათვის (სკოლა არის "OpenBiblio"-ს მომხმარებელი).

სკოლის დებულებით განსაზღვრულია ბიბლიოთეკის მუშაობის მიზნები, ამოცანები და ფუნქციები.

ბიბლიოთეკაში არის ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია მუშაობის განრიგი და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- წიგნების შესყიდვის დოკუმენტაციით;
- ბიბლიოთეკის კატალოგით;
- ჩუქების ხელშეკრულებებით.

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

შეფასება:

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სასწავლო პროცესში შეუფერხებელი ჩართვის მიზნით სკოლამ შეიძინა კიბეებზე უნივერსალური გადასაადგილებელი მუხლუხო, რომელიც გამოიყენება ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირთათვის.

ამასთანავე, შენობაის პირველ სართულზე კეთილმოწყობილია ერთი ადაპტირებული სველი წერტილი როგორც გოგონებისათვის , ისე ვაჟებისათვის.

მართალია, ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, მაგრამ ინტერვიურებითა დ ვიზუალური დათვალიერებით გაირკვა, რომ სკოლას აქვს მზაობა ადამიანური და ინფრასტრუქტურული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

თვალსაზრისით სსსმ მოსწავლის არსებობის შემთხვევაში გაუწიოს მას სათანადო საგანმანათლებლო მომსახურება.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიურებით.

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არა უმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას

შეფასება:

შპს "კერძო სკოლა ინტელექტი" უზრუნველყოფს თავის მოსწავლეებს ინტერნეტით, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით. სკოლის საინფორმაციო ტექნოლოგიების კაბინეტში განთავსებულია 14 კომპიუტერი. მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა, იმუშაონ მოსწავლეებთან ერთად და მიიღონ ინტერნეტით მათთვის საჭირო ინფორმაცია. ამასთანავე, ერთი კომიუტერი ბიბლიოთეკაშია განთავსებული და ერთი - კანცელარიაში.

სკოლას ასევე აქვს ვებ-გვერდი www.intelecti2017ge; ელექტრონული ფოსტაintelecti2017@gmail.com და სოციალური ქსელი (Facebook), რომლებიც ასრულებენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას, მათი საშუალებით, შესაძლებელია სასკოლო ცხოვრების სიახლეების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და სკოლასთან კომუნიკაცია.

დასტურდება:

- სკოლის ელექტრონული ფოსტა intelecti2017@gmail.com
- სკოლის ვებ-გვერდით www.intelecti2017ge;
  სოციალური ქსელი www.facebook.com/profile.php?id=100015681281794&fref=ts
- ვიზუალური დათვალიერებით;

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

შეფასება

სკოლაში შექმნილია „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც განსაზღვრავს და არეგულირებს უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის, ასევე, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის მექანიზმებსა და პროცედურებს.

საგანმანათლებლო დაწესებულების ყველა სართულზე (0+3 სართული), თვალსაჩინო ადგილას, გამოკრულია ევაკუაციის გემგა და დამონტაჟებულია ცეცხლმაქრი (ჯამში სულ 19 ცალი ცეცხლმაქრი). ცეცხლმაქრები ტექნიკურად შემოწმებული და დამუხტულია.

სკოლაში არის სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია სამედიცინო ინვენტარითა და პრეპარატებით პირველადი დახმარებისათვის. ამასთანავე, სკოლას მოემსახურება ექთანი.

სკოლაში დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება საგანგებო შტაბი, რომელსაც დაევალება დაიცვას სკოლაში თანამშრომელთა და მოსწავლეთა უსაფრთხოება. ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოიკვრება საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112).

შენობაში დამონტაჟებულია 16 (თორმეტი) უსაფრთხოების ვიდეო თვალი. აქედან 6(ექვსი) გარე პერიმეტრს აკონტროლებს, 10 (ათი) – შიდა - პერიმეტრს. შენობის მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფილია წესრიგის დაცვა. სკოლას ჰყავს კვალიფიციური დღის დარაჯი, რომლის მოვალეობაა სკოლაში წესრიგის დამყარება და დაწესებულების მატერიალური ფასეულობების დაცვა. გარდა ამისა, სკოლის შენობაში დამონტაჟდება სიგნალიზაცია. შენობის შესასვლელებში განთავსებული კამერები შეესაბამება ,,აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს #1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაიის წესებს.

დასტურდება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- შპს "კერძო სკოლა ინტელექტის" სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებით;
- ხანძარსაწინააღმდეგო, სამედიცინო ინვენტარისა და მედიკამენტების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- საევაკუაციო გეგმით;
  ვიზუალური დათვალიერებით;
- ხელშეკრულებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები

შეფასება:

სკოლაში მოქმედებს შინაგანაწესი და დებულება. **შინაგანაწესში გაწერილია** სკოლის მიზანი, ამოცანები, სკოლის მართვის პრინციპები, სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო, სასწავლო პოცესის მონიტორინგის ფორმები, შრომითი ურთიერთობა და თანამშრომელთა მიღება, სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი და შესაბამისი ღონისძიებები, მოსწავლის ჩაცმულობის წესი, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომითი ურთიერთობის შეჩერება,წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა, დისციპლინური წარმოების წესი და სახეები, მოსწავლეთა სკოლაში ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის პირობები, სიცოცხლის, ჯანმრთელობის, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქც,ა განცხადებების საჩივრის განხილვა. **სკოლის დებულებაში გაწერილია:** დებულების მოქმედების სფერო, სკოლის მიზნები, სკოლის სტრუქტურა და მართვა, სკოლის ადმინისტრაცია, სკოლის სტრუქტურული ერთეულები, აგრეთვე დასაქმებულთა სამსახურებრივი მოვალეობები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა დოკუმენტი ქმნის სკოლაში მოქმედ ერთიან საკანონმდებლო ბაზას და შეესაბამება სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებს.

დასტურდება:

- წესდებით;
- სკოლის შინაგანაწესით;
- დებულებებით;
- ბრძანებებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

შეფასება:

სკოლას შემუშავებული აქვს განვითარების ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმები. ერთწლიანი გეგმა განსაზღვრავს სკოლის საქმიანობის ძირითად სტრატეგიულ მიმართულებებს. ექვსწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა კი მოიცავს გრძელვადიან მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც გაწერილია სამოქმედო გეგმაში. ამასთანავე, ინტერვიურებით დადგინდა, რომ იგეგმება მნიშვნელოვანი ცვლილებები სტრატეგიულ გეგმაში. კერძოდ: საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში გამწოვის დამონტაჟება, სპორტულ- გამაჯანსაღებელი დარბაზის კეთილმოწყობა, თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი საცურაო აუზის გაკეთება, საგნობრივი კაბინეტების მოწყობა და ა.შ.

დასტურდება:

- სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმით;
- სკოლის განვითარების გრძელვადიანი (6 წლიანი) სტრატეგიული განვითარების გეგმით;
- ინტერვიურებით.

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

შეფასება:

დაწესებულებაში სკოლის საქმის წარმოების წესის მიხედვით მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა: იწარმოება საერთო, საკადრო, გასული და შემოსული დოკუმენტაციის, ამასთანავე, ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალები.

ჟურნალები აკინძული, ზონარგაყრილი, დანომრილი, დალუქული და დამოწმებულია სკოლის ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით. სკოლაში ინახება ყველა დოკუმენტის დედანი//ასლი. სკოლის ყველა აქტი და ოფიციალური წერილები ფორმდება სატიტულო ფურცელზე, რომელიც შემუშავებულია სკოლის მიერ.

დასტურდება:

- შპს "კერძო სკოლა ინტელექტის" „საქმისწარმოების ერთიანი წესით";
- შემოსული და გასული დოკუმენტაციით;
- სარეგისტრაციო ჟურნალებით.

3.ადამიანური რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

შეფასება:

,,კერძო სკოლა ინტელექტს'' ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. სკოლას დაგეგმილი აქვს, **2017-2018 სასწავლო წელი დაიწყოს 228 მოსწავლით.** სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო გარემოს შექმნას სკოლაში უზრუნველყოფს 21 პედაგოგი **(ყველა პედაგოგს განსაზღვრული აქვს სტატუსი).** მათ შორის 2 დოქტორია, 10- მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული, 8- ბაკალავრი,1- პროფესიული განათლებით. რაც შეეხება სქემით განსაზღვრულ სტატუსს, 13 პედაგოგი ჩაერთვება სქემაში უფროს პედაგოგად, 8 -პრაქტიკოსად. მათგან 12 პედაგოგი, პედსაბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, შეასრულებს დამრიგებლის მოვალეობას.

სკოლის სტრუქტურა: სკოლას ჰყავს დირექტორი, მოადგილე, ბუღალტერი, ადმინისტრაციული მენეჯერი, ფსიქოლოგი, ბიბლიოთეკარი, ექთანი, იურისტი, ტექნიკური მენეჯერი, 2 დამლაგებელი და დაცვის 2 თანამშრომელი. ყველა მათგანს დებულებით განსაღზვრული აქვს ფუნქცია-მოვალეობა.

დასტურდება:

- სკოლის სტრუქტურითა და ბრძანებებით ;
- ინტერვიუირებით;
- მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვით;
- „კერძო სკოლა ინტელექტის“ დებულებით.

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

შეფასება:

სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებლებს უდასტურდებათ კვალიფიკაცია იმ საგანში, რომელსაც ასწავლიან. ამასთანავე, მათ პირად საქმეებში არსებობს შესაბამისი დოკუმენტაცია.

ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში სკოლა 2017-2018 სასწავლო წლიდან ჩაერთვება მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში.

დასტურდება:

- თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით;
- მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვით;
- მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- შინაგანაწესით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- ბრძანებების წიგნით.

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

შეფასება:

სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომლის შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები. დირექტორის ბრძანებით შექმნილია საკონკურსო კომისია. კომისიის მუშაობის პრინციპებია ობიექტურობა, საჯაროობა, გამჭვირვალობა, კორექტულობა, კოლეგიალობა. კონკურსი შედგება ორი ეტაპისაგან: პირველ ეტაპზე ხდება ბიოგრაფიების/CV-ების გადარჩევა. მეორე ეტაპზე კი - შერჩეულ პირებთან გასაუბრება. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ჩატარდეს საჩვენებელი გაკვეთილიც. შერჩეულ თანამშრომელთან ფორმდება ვადიანი ხელშეკრულება, რომელშიც აღინიშნება თანამდებობა, ხელფასი, უფლებამოსილება და დავის წარმოშობის შემთხვევაში მისი გადაწყვეტის წესი და ა.შ. მიღებულ კანდიდატურას აცნობენ დებულებას, შინაგანაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციებს და სკოლისთვის დამახასიათებელ სხვა საკითხებს.

დირექტორს უფლება აქვს დაითხოვოს თანამშრომელი ხელშეკრულების ვადის გასვლის, სკოლის შინაგანაწესის, დებულების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობის, არაკეთილსინდისიერად ან/და არაჯეროვნად შესრულების, სასწავლო პროცესის მონაწილეთა უფლების უხეში დარღვევის ან სხვა მიზეზით, რომელიც ჩაითვლება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დარღვევად; თუ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი დასაქმებულია, იგი ვალდებულია გააფრთხილოს დირექტორი არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინებით. გაფრთხილებიდან აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მას უფლება აქვს შეწყვიტოს მუშაობა;

დასაქმებულთა წახალისების წესი რეგულირდება სკოლის შინაგანაწესის მე-17 მუხლით. შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების კეთილსინდისიერად, ჯეროვნად, მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისა და სხვა სამსახურებრივი დამსახურებისთვის სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

- ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;
- მადლობის გამოცხადება;
- ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
- საპატიო სიგელით დაჯილდოება;

დისციპლინური დარღვევის შემთხვევაში სკოლა მოქმედებს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

შინაგანაწესით;

- შრომითი ხელშეკრულებებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- დირექტორის ბრძანებით N1/17 ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის დამტიცების შესახებ;
- ინტერვიურებით.

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

შეფასება:

სკოლის დირექტორს პედაგოგებთან, ადმინისტრაციასა და ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება. გამოცემულია შესაბამისი ბრძანება და გატარებულია ბრძანების სარეგისტრაციო წიგნში. ხელშეკრულებაში, დამქირავებლისა და დაქირავებულის მონაცემების გარდა, შეტანილია დაქირავებულის სამუშაოს მოკლე აღწერა, უფლება – მოვალეობები, ასევე დამქირავებლის უფლება–მოვალეობები, შრომის ანაზღაურება, სამუშაო დრო, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, შეწყვეტის საფუძვლები და სხვა პირობები. სკოლაში არსებულ ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალში შრომითი ხელშეკრულებები დარეგისტრირებულია საქმისწარმოების წესის შესაბამისად.

დასტურდება:

- შინაგანაწესით;
- ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალით;
- გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით;
- პირადი საქმეებით.

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

შეფასება:

სკოლა ზრუნავს მასწავლებლის პროფესიულ წინსვლაზე, მიზნად ისახავს მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლებას, მათ მიერ სწავლა–სწავლების თანამედროვე მეთოდების ათვისებას. ამასთანავე, დაგეგმილი აქვთ კვალიფიკაცია აიმაღლონ ტრენინგებისა და სემინარების საშუალებით. მასწავლებელთა პროფესიულ განვითარება სკოლაში რეგულირდება მასწავლებლი პროფესიული განვითარებისა და ხარისხის მართვის დებულებით.

სკოლა მუშაობს ხარისხის უზრუნველყოფის შემდეგი ციკლით: დაგეგმე - განხორციელე - შეამოწმე - განავითარე. დირექციის დანმარტებით, ეს ხელს შეუწყობთ მათ მიიღონ სასწავლო პროცესის გაძღოლის შესაბამისი კომპეტენცია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- გაიმჯობესონ სასწავლო პროგრამის შემუშავების უნარი;
- უკეთ გაიაზრონ სასწავლო პროგრამებს შორის ლოგიკური კავშირი;
- მოხდეს სასწავლო პროგრამის მიზნების, შინაარსისა და სწავლის შედეგების მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გაცნობიერება;
- სწავლებისა და შეფასების ადეკვატური მეთოდების შერჩევა;
- სასწავლო პროგრამის შინაარსის განსაზღვრა თანამედროვე კონცეფციებისა და ინფორმაციის გათვალისწინებით;
- სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ცვლილებების, სიახლეებისა და ტენდენციების ცოდნა და მოსწავლეებისთვის მიწოდება;
- შესასწავლი მასალის გადაცემისა და მოსწავლეებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
- მოსწავლეების ცოდნისა და უნარების ობიექტური შეფასება;
- საგნის შინაარსის ადეკვატური სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის ცოდნა და სასწავლო პროგრამაში მითითება;
- საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა.

სკოლა მზადაა 2017-2018 სასწავლო წლიდან აამოქმედოს მის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები .

დასტურდება:

- შპს "კერძო სკოლა ინტელექტის" სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი;
- სკოლის განვითარების ერთწლიანი და ექვსწლიანი გეგმით;
- შპს „კერძო სკოლა ინტელექტის" ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები.

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

შეფასება:

მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ ახლადშერჩეულ პედაგოგებთან სკოლის ადმინისტრაციამ რამდენიმე შეხვედრაზე განიხილა სასკოლო გარემოს, სასკოლო კულტურის ჩამოყალიბების პრინციპები, მექანიზმები, დებულებები. ყველა პედაგოგი მზადაა სკოლის მთავარი ღირებულებებით იმუშაოს, შექმნას დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემის, სამართლიანობისა და თანამშრომლობის გარემო. ჩააბან მოსწავლეები მათთვის საინტერესო აქტივობებში, შექმნან შემოქმედებითი გარემო, შესთავაზონ მოსწავლეებს კლასგარეშე ღონისძიებები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

პროექტები და თავისუფალი გაკვეთილები, ითანამშრომლონ სხვა სკოლებთან, აიღონ პასუხისმგებლობა, სკოლის მისიის შესასრულებლად; სპორტული შეჯიბრები ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად, აქტიურად ითანამშრომლონ მშობლებთან. დირექცია, თავის მხრივ, მზადაა, თითოეულ პედაგოგს შეუქმნას შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენის ატმოსფერო.
სკოლის ფსიქოლოგს შემუშავებული აქვს კითხვარი მშობლებისათვის, მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის სასკოლო კულტურის განვითარებისათვის.

დასტურდება:

- ინტერვიურებით;
- სკოლის ვებგვერდით
- მშობელთა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა კითხვარებით
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ფსიქოლოგის კითხვარით.

IV. თანდართული დოკუმენტაცია

- **დანართი N 1 დირექტორის ბრძანება, პედსაბჭოს ოქმი და სასკოლო ასწავლო გეგმის ელექტრონული ფორმა(1 დისკი, 3 ფურცელი)**

თბილისი

28 ივლისი 2017 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.